

რა ვალუტაში სჯობს ფულის შენახვა – ლარში, დოლარსა თუ ეპროში

გაზეთი “ალია” – 9-10 ოქტომბერი, № 124, 2008

საომარი მოქმედებების და მსოფლიოში არსებული ფინანსური კრიზისის გამო ქართული ბანკებიდან რომ დიდი რაოდენობით ფული გავიდა, ეს უკვე ცნობილი ფაქტია. ბანკების მიმართ ნდობა რომც აღდგეს და მოსახლეობამ დაზოგილი ფულის ანაბრებზე განთავსება გადაწყვიტონ, რჩება ერთი მნიშვნელოვანი კითხვა – რა ვალუტაში ჯობია თანხის შენახვა, ლარში, დოლარში თუ ევროში?

ბოლო პერიოდში ლარის კურსი მყარდებოდა და გამოითქმებოდა ვარაუდი, რომ იგი 1,4 ნიშნულს მნიშვნელოვნად ჩამოცდებოდა, თუმცა იგი ჯერაც იგივე რჩება. პარალერულად, მსოფლიოში შექმნილი ფინანსური კრიზისის ფონზე უკვე საუბრობენ დოლარის გაუფასურებაზე, ანუ მსყიდველუნარიანობის შემცირებაზე. ასევე ბოლო მონაცემებით ევროს კურსიც დაბლა მიიწევს. ბანკში, ანაბარზე ფულის განთავსებას კი იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ შეტანილი თანხა, 1 წლის შემდეგ დარიცხულ პროცენტთან ერთად იმაზე მეტად მსყიდველუნარიანი იქნება, რაც შეტანამდე იყო.

„ალიას“ ესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი, ლალო ააპავა:

– გლობალური კრიზისის ფონზე ყველაზე დიდი საფრთხე ლარის კურსის შენარჩუნებას აქვს და რატომ: ჩვენი იმპორტი რომ ოთხჯერ და მეტჯერ აღემატება ექსპორტს, ანუ საგარეო სავაჭრო ოპერაციებში საქართველოდან ოთხჯერ მეტი უცხოური ვალუტა გადის, ვიდრე ექპორტით შემოდის. ამიტომაც, ეს დისბალანსი, რომელიც არის საგარეო ვაჭრობაში, დაბალანსებულია სწორედ ისეთი წყაროებით, როგორიცაა უცხოური ინვესტიციები და ფულადი გზავნილები, რომელთაც ჩვენი თანამოქალაქეები იღებენ უცხოეთში წასული ახლობლებისაგან. ამიტომაც გამოდის, რომ საგადამხდელო ბალანსი დადებითია და ლარი ასე თუ ისე სტაბილურია. თანაც ბოლო წლებში საქართველოში უცხოური ვალუტის შემოსვლა აღემატებოდა გასვლას და სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ამ პერიოდში ლარი მყარდებოდა. ახლა რა ხდება? გლობალური კრიზისის პირობებში და

პლუს საომარი მოქმედებების გამო საქართველოში უცხოური ინგესტიციების შემოსვლა ფერხდება. ბუნებრივია, ამ გზით ნაკლები ვალუტა შემოვა ქვეყანაში. ამ კრიზისის გამო პრობლემები ექმნებათ ჩვენს იმ თანამემამულებსაც, რომლებიც მუშაობენ საღვარგარეთ და თავიანთ ახლობლებს უგზავნიან ფულს, ანუ ფულადი გზავნილების მოცულობაც შემცირდება. ამიტომაც შეექმნება პრობლემები ლარის სტაბილურობას. მისი სიმყარის გარანტად შესაძლოა დადგეს მხოლოდ და მხოლოდ ის დახმარებები რომელიც უნდა მივიღოთ ამერიკიდან და ევროპიდან, თუმცა ამ დახმარებების ნაწილი შემოვა სასაქონლო სახით და მას არავითარი ზეგავლენა არ ექნება ლარის სტაბილურობაზე. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სავლუტო ფონდიდან მისაღებ 750 მილიონ დოლარს, რომლითაც საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვები შეივსება.

– ამ გლობალური კრიზისის ფონზე ვარაუდობენ დოლარის და ევროს მყიდველუნარიანობის შემცირებასაც. რას ურჩევს ეკონომიკური ექცერტი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც აქვს დანაზოგი და სურს ეს თანხები ანაბრებზე განათავსოს? რა ვალუტაში უნდა შეინახონ მათ ფული – დოლარში, ლარში თუ ევროში?

– ამის რჩევა ძალიან რთულია, მაგრამ არსებობს ძალიან ცნობილი და მარტივი მიღგომა. მათ უნდა მოახდინონ ამ თანხების დივერსიფიკაცია, ანუ თანხების სხვადასხვა ვალუტაში დაზოგვა. ნაწილი უნდა შეიტანონ ლარში, ნაწილი დოლარში და ნაწილი ევროში და ეს იმიტომ, რომ თუ ერთ ვალუტაში წააგებ, მეორეში მაინც მოიგო და დანაკარგის სრული თუ არა ნაწილობრივი კომპესაცია მაინც მოახდინო.

– მაინც რა თანაბარდობით ურჩევდით მოსახლეობას ამ თანხების გაყოფას?

– აქ არ არსებობს ასპროცენტიანი რეცეპტი, მაგრამ ჩემი აზრით უნდა განათავსონ თანხის 40% ევროში, 40% დოლარში ხოლო დარჩენილი 20% ლარში. ეს ჩემი პირადი აზრია, რადგან ჩემი ნდობა მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომლის ერთ-ერთი შედეგები ლარის სტაბილურობაცაა, საქმაოდ დაბალია. ეს იმის გამო, რომ უმთავრესი ინსტიტუტი, რომელიც უნდა ზრუნავდეს ლარზე – საქართველოს ეროვნული ბანკი 2008 წლის გაზაფხულზე მთავრობამ არსებითად დაასუსტა.

დიმიტრი ტიკარაძე